

აბაშიძე ნ.ო., ივერიელი მ.ბ., ცინცაძე თ.ო.,  
გოგიშვილი ხ.პ., ჯაში ლ.მ.

## ახალი თაობის ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება პირაქისული სტომატიტის მკურნალობის კომპლექსში

თსუ-ის თერაპიული სტომატოლოგიის  
დეპარტამენტი; ქართულ-გერმანული დენტალური  
ინსტიტუტის ცენტრი „HBI-dent“

ჰერპესული ინფექცია დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ ინფექციას, როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილ მოსახლეობას შორის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ვირუსულ დაავადებებს შორის ჰერპეს ვირუსით გამოწვეული დაავადებები იკავებენ მეორე ადგილს გრიპის ვირუსის შემდეგ, ხოლო სხვა ნოზოლოგიებს შორის პირველობას უთმობენ მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ონკოლოგიურ დაავადებებს (3, 4, 5).

ჰერპესული ინფექციით გამოწვეული ზოგადი ავადობა მერყეობს 50,0-დან 100%-მდე, რის გამოც ჰერპესულ დაავადებებს განიხილავენ, როგორც სოციალური მნიშვნელობის დაავადებებს (1, 6).

მწვავე და ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტების მკურნალობის კომპლექსში გამოყენებული პრეპარატების რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს იმ ძირითად მოთხოვნებს, როგორიც არის - პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ტუჩის წითელი ყაენის და მიმდებარე ეპითელიუმის სწრაფი, უმტკივნეულო და ეფექტური ეპითელიზაცია (2, 5, 7).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტის მკურნალობის კომპლექსში ახალი თაობის ადგილობრივი და ზოგადი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატების პანავირის (დამცავი გელი, სუბსტანცია - ინტრავენური ინექციისათვის) და Super Lizin+-ის (მალამო, აბები) მოქმედების ეფექტურობის კლინიკური შეფასება.

დასახული მიზნის რეალიზაციისათვის ჩვენს მიერ გამოკვლევა და მკურნალობა ჩატარდა 16-დან 55 წლის ასაკის 140 პაციენტს. მათ შორის ქალი იყო 76 ( $54,28 \pm 2,7\%$ ), ხოლო მამაკაცი - 64 ( $45,72 \pm 2,7\%$ ). აღნიშნული პირები აღრიცხვაზე იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრასა და ქართულ-გერმანული დენტალური ინსტიტუტის ცენტრში HBI-dent.

გამოკვლეული პირები დავყავით სამ ჯგუფად. ყველა მათგანს მკურნალობა უტარდებოდა დღემდე არსებული მეთოდებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვხმარობდით სხვადასხვა ანტივირუსულ პრეპარატს. I ჯგუფში გავაერთიანეთ ქრონიკული მორეციდივე ჰერპესული სტომატიტის მქონე 30 პაციენტი

( $21,42 \pm 1,76\%$ ). ადგილობრივად აპლიკაციების სახის ვიყენებდით ანტივირუსულ პრეპარატებს - ზოვირაქსს. II ჯგუფში გაერთიანებული იქნა 60 პაციენტი ( $42,84 \pm 2,78\%$ ), რომელთაც მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ანტივირუსულ თერაპიას ვუტარებდით პრეპარატ პანავირით (დამცავი გელი, სუბსტანცია ინტრავენური ინექციისათვის). III ჯგუფში გავაერთიანეთ 50 პაციენტი ( $35,74 \pm 2,72\%$ ). მათ მკურნალობის კომპლექსში ადგილობრივად ვუნიშნავდით ახალი თაობის ანტივირუსულ იმუნომასტიმულირებელ პრეპარატს Super Lizin+ (ტუჩის მალამო, აბები).

პაციენტების კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევის შემდეგ ხდებოდა დიაგნოზის დასმა და დგებოდა მკურნალობის გეგმა. ყველა ავადმყოფს უტარდებოდა კომპლექსური და ინდივიდუალური მკურნალობა.

ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობას ვაფასებდით შემდეგი კრიტერიუმებით: მნიშვნელოვანი გაუმჯობესება - რეციდივის ხანგრძლივობის შემცირება და რემისიის შეუალედის გაზრდა 2-ჯერ და მეტად. გაუმჯობესება - რეციდივის ხანგრძლივობის შემცირება და რემისიის შეუალედის გაზრდა 1-1,5-ჯერ. ეფექტურობის არარსებობა - ადგილობრივი და ზოგადი მოვლენების არსებობა და დაავადების მიმდინარეობის შეცვლა.

მკურნალობას ვთვლიდით ეფექტურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესების და გაუმჯობესების შემთხვევაში, განსაკუთრებით დაავადების საშუალო და მძიმე ფორმების დროს.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქ.მ.პ.ს-ის მქონე პაციენტები რეციდივის განვითარებას უკავშირებდნენ ამა თუ იმ პათოლოგიურ მდგომარეობას. მათ შორის: გადაციებას -  $31,9 \pm 2,69\%$ , ემოციურ სტრესს -  $20,8 \pm 2,31\%$ , რესპირატორულ ინფექციებს -  $24,7 \pm 2,49\%$ , მზის სხივების ზედმეტ ინსოლაციას -  $11,1 \pm 1,1\%$ , ზოგადი სომატური დაავადებების გამწვავებას -  $7,6 \pm 1,53\%$  და სტომატოლოგიურ ჩარევას -  $3,9 \pm 1,1\%$ .

I ჯგუფის პაციენტების კლინიკური გამოჯანმრთელება ხდებოდა დაახლოებით მე-7 დღეს, საშუალო ფორმის მიმდინარეობის ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 7-10 დღე, მძიმე ფორმის კი - 11 და მეტი. ანტივირუსულ პრეპარატ პანავირით მკურნალობის დროს - II ჯგუფის პაციენტებში - მსუბუქი ფორმის ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 5,1 დღე, საშუალო ფორმის - 5,9 დღე, მძიმე ფორმის კი - 6,8 დღე. გარდა ამისა, ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ პრეპარატი პანავირი ახდენს სუბიექტური ჩივილების მოხსნას, როგორცაა: წვა, ქავილი, დაჭიმულობისა და დისკომფორტის შეგრძნება თერაპიული მკურნალობის დაწყებიდან 1-2 ვიზიტზე, ხოლო მტკივნეულობის სიმპტომის - 2-3 ვიზიტზე.

II ჯგუფის 60 პაციენტიდან პანავირით მკურნალობის შედეგად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მივიღეთ 51 ( $85 \pm 2,06\%$ ) პაციენტთან, ხოლო 9 ( $15 \pm 2,06\%$ ) - პაციენტთან კი გაუმჯობესება, რაც შეეხება ეფექტურობის არარსებობას არც ერთ პირთან არ დაფიქსირებულა.

როგორც კლინიკურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პანავირით, რეციდივის ხანგრძლივობა შეუმცირდათ 2-ჯერ, განსაკუთრებით დაავადების მიმდინარეობის საშუალო და მძიმე ფორმის მქონე პაციენტების შემთხვევაში, რომელთაც რეციდივის ხანგრძლივობა პანავირით მკურნალობამდე 7 დღეზე მეტი ჰქონდათ. მკურნალობის შედეგების მონაცემების თანახმად, პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პანავირით, რემისიის შუალედის ხანგრძლივობა გაეზარდათ 1,5-2-ჯერ.

III ჯგუფის პაციენტებში 50 პაციენტიდან სუპერლიზინ+-ით მკურნალობის შედეგად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მივიღეთ 46 ( $92 \pm 1,56\%$ ) პაციენტთან, ხოლო გაუმჯობესება - 4 ( $8 \pm 1,56\%$ ) პაციენტთან, რაც შეეხება ეფექტურობის არარსებობას, არც ერთ პაციენტთან არ დაფიქსირებულა. რეციდივის ხანგრძლივობა შემცირდა 4-5 დღემდე. განსაკუთრებით საშუალო და მძიმე ფორმის მქონე პაციენტებს, მკურნალობის შედეგების მონაცემების თანახმად პაციენტებს, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ სუპერლიზინ+-ით რემისიის შუალედის ხანგრძლივობა გაიზარდა 2-ჯერ.

ქ.მ.პ.ს-ის მსუბუქი ფორმის დროს აღინიშნებოდა რეპარაციულ-რეგენერაციული პროცესების მნიშვნელოვანი დაჩქარება და რეციდივის ხანგრძლივობა იყო 4,9 დღე, საშუალო სიმძიმის - 5,1 დღე, მძიმე ფორმის კი - 5,9 დღე.

ჩატარებულმა კლინიკურმა ანალიზმა გვიჩვენა ახალი თაობის ანტივირუსული და იმუნომასტიმულირებელი პრეპარატების პანავირის (დამცავი გელი, სუბსტანცია ინტრავენური ინექციისათვის) და სუპერლიზინ+-ის (მაღამო აბები) მაღალი თერაპიული ეფექტურობა - ეპითელიზაციის ვადის შემცირება, კარგი ანალგეზიური ეფექტი და საუკეთესო ადჰეზიური თვისებები. ვთვლით, რომ მათი გამოყენება წარმატებით შეიძლება ჰერპესული სტომატიტების მკურნალობის კომპლექსში.

### ლიტერატურა:

1. Васильева А.Н. Герпес: профилактика и эффективное лечение // Санкт-Петербург.: Невский проспект.- 2004, с. 16-22, 47-57, 81-93.
2. Вирусные заболевания слизистой оболочки полости рта (метод. рекомендация под ред. Г.В. Банченко) // Москва - 1996, 13 с.
3. Данилевский Н.Ф., Леонтьев В.К., Несин А.Ф., Рахний Ж.И. Заболевания слизистой оболочки полости рта // Москва.- 2001, с.17-41, 76-123.
4. Елизарова В.М., Дработько Л.Н., Страхова С.Ю. Клиника, диагностика и лечение острого герпетического стоматита у детей (Методические рекомендации) // Москва.- 2001, с. 3-19.
5. Рабинович О.Ф., Рабинович И.М., Разживина Н.В. Сочетанное применение лейкоферона с полиоксидонием при лечении рецидивирующего герпетического стоматита // Клиническая стоматология.- 2003.- №4.- с. 54-58.
6. Favoreel HW., Nauwynck HJ., Pensaert MB. Immunological hid-

ing of herpesvirus-infected cells // Archives of Virology, 2000, 145(7), p. 1269-1290.

7. Hirayama J., Abe H., Kamo N., Ikebuchi K., Ikeda H. Comparison of the effects of different antiviral treatments on the antioxidant systems of stroma-free hemoglobin // Photochemistry & Photobiology, 2001 Sep., 74(3), p. 461-464.

**Abashidze N.O.; Iverieli M.B.; Tsintsadze T.O.; Gogishvili Kh.B.; Jashi L.M.;**

### THE USAGE OF NEW GENERATION ANTIVIRAL MEDICATIONS IN THE COMPLEX TREATMENT OF THE HERPETIC STOMATITIS

**Georgian-German Center of Dental Implantation "HBI-dent"**

The aim of our study was to evaluate the clinical effect of the new generation antiviral medications "PANAVIRE" (protecting gel, substance for intravenous injection) and "SUPERLYSINE+" (ointment, pills), which has a local, as well as general therapeutic effect in the complex treatment of chronic, relapsing herpetic stomatitis.

140 patients, aged 16-55, of whom 76 female ( $54,28\% \pm 2,7\%$ ) and 64 male ( $45,72\% \pm 2,7\%$ ), were observed and treated during the study.

The patients were divided into three groups and treated with traditional methods. 30 patients ( $21,42\% \pm 1,76\%$ ) with relapsing herpetic stomatitis, belonged to the first group, were cured with medication "ZOVIRAX", while 60 patients ( $42,84 \pm 2,78\%$ ) from the second group were treated with "PANAVIRE" and in the third group, included 50 patients ( $35,74\% \pm 2,72\%$ ) the medicine "SUPERLYSINE+" was used.

Our study has revealed, that in the II group, out of 60, 51 patients' ( $85\% \pm 2,06\%$ ) health condition has remarkable improved, while other 9 of them ( $15\% \pm 2,06\%$ ) received only regeneration. Out of 50 patients belonged to III group, in 46 cases ( $92\% \pm 1,56\%$ ) important therapeutic effect was revealed, while in 4 cases ( $8\% \pm 1,56\%$ ) only regeneration was defined.

The clinical study has shown high therapeutic effect of new generation antiviral and immunostimulative medicines "PANAVIRE" (protecting gel, substance for intravenous injection) and "SUPERLYSINE+" (ointment, pills) on the reduction of epithelisation time. These medications have also high analgetic and adhesive effect.

We think, that the medicines, mentioned above, can be successfully used in the complex treatment of herpetic stomatitis.